

**თუ პრემიერ-მინისტრი გადადგა... #სქემა N1**

პრემიერ-მინისტრის გადადგომა მთავრობის სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე იწვევს მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტას.



**პრეზიდენტის ვალდებულება**

პრეზიდენტი, პარლამენტის მიერ ახალი მთავრობის შექმნამდე, მთავრობის მოვალეობის შესრულებას აკისრებს „ძველ“ მთავრობას. პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ამ შემთხვევაში ასრულებს გადამდგარი პრემიერი, ვინაიდან მისი გადადგომით ვიცე-პრემიერიც ავტომატურად გადამდგარად ითვლება.



**პრეზიდენტი**

პრეზიდენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან 7 დღის ვადაში წამოაყენებს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას



**პრემიერობის კანდიდატი**

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი 7 დღის ვადაში შეარჩევს მინისტრთა კანდიდატურებს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას და სამთავრობო პროგრამას ნდობის მისაღებად.



**პარლამენტის მიერ მთავრობის შექმნა**

პარლამენტი მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან 7 დღის ვადაში განიხილა და სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ნდობა გამოუცხადა მთავრობის შემადგენლობას და სამთავრობო პროგრამას.

### **პრემიერ-მინისტრის /მთავრობის წევრების დანიშვნა**

პარლამენტის მიერ ნდობის გამოცხადებიდან პრეზიდენტი ორი დღის ვადაში ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, პრემიერ-მინისტრი კი ორი დღის ვადაში მთავრობის წევრებს. თუ პრეზიდენტი აღნიშნულ ვადაში არ გამოსცემს სამართლებრივ აქტს პრემიერ-მინისტრის დანიშვნის თაობაზე, პრემიერ-მინისტრი დანიშნულად ჩაითვლება